# ეხო

№ 28

წელიწადი პირველი

1913

ყოველდღიური გაზეთი

ფ ა ს ი:

წლიურათ . . . . . . . . . 7 მანეთი
ნახევარი წლით. . . . . . . . 4 მანეთი
თვიურათ . . . . . . . . . 4 აბაზი

ცალკე ნომრის ერთი შაური.

წლიური ხელის მომწერლებს გაზეთის ფასი შეუძლიათ ნაწილ-ნაწილათ გადაიხადონ. ხელის მოწერის დროს 3 მანეთი დანარჩენი კიდევ ნაწილნაწილათ. საზღვარგარეთ წლიურათ 14 მან., ნახევარი წლით 8 მან., თვიურათ 6 აბაზი.

ხუთშაბათი, 5 დეკემბ.

მისამართი: Кутаис, Ивановская, д. Чиладзе.

ტელეფონი № 149.



„რადიუმი"

ხუთშაბათიდან კოლოსალური პროგრამა 6 განყოფილებით.

I. პატე ჟურნალი № 246-ა.

II. ცხოვრება-მძლარია სიყვარული-წამიერია

4 მოქმ. ძლიერი დრამა „ნორდისკ-მონოპოლ" ბეტი ნანსენის მონაწილეობით.

III. პრენსი ავტომატში,

კომიკური.

АНОНС. надняхъ будет. демонст. Монопольная картина

Ключи Счастья

по ром. В. Вербицкой инсценированному самим автором.

ბაღზე დამყარებული ამხანაგობა

ს. მ. პირაპოზოვი და ზ. გ. ოზანოვი

ნიშნავს საშობაო

10 დეკემბრიდან 1913 წ.

იაფ ვაჭრობას


აზნ. ერასტი გუგუშვილის ასული ბაბილინა და ნინო ივანეს ასული ლორთქიფანიძისა გულითადის მწუხარებით გაუწყებენ გადაცვალებასა პირველი საყვარელი დედისა, ხოლო მეორე ძვირფასი დის

**ოლღა ივანეს ასულის გუგუშვილისას,**

უმორჩილესათ გთხოვენ, რათა პატივი სცეთ და დაესწროთ მიცვალებულის გამოსვენებას ამა ქრისტეშობისთვის 7-ს, შაბათს, ნაშვადღევის 3 საათზე პოლიციის ქუჩაზე, საკუთარი სახლიდან.


ქ უ თ ა ი ს ი

პირველი კერძო სამკურნალო სპეციალისტი ექიმებით.

**მუდმივი საწოლებით**

**თ. ა. რელიგიონის სახლი თეთრ ხიდთან.**

ავათმყოფებს მიიღებენ ყოველდღე:

დ ი ლ ი თ.

| | |
|---|---|
| გ. ა. აშანცე—ყელის, ცხვირის, ყურისა და ქირურგიული. | 1— 2 |
| გ. ს. ნადირაძე—შინაგანი და ბავშის | 10—12 |
| ა. ა. რელიგიონი—ოსტაქარი, ქალთა, სნებით | 11—12 |
| მ. დ. ბეთანელი—კანის, ათაშანგი, ვენერ. | 12— 2 |
| ვ. ა. ჭოღოშვილი—სნებ., ქალთა და შინაგ. | 12½ 2 |

ს ა ღ ა მ ო თ.

| | |
|---|---|
| გ. დ. ქორქაშვილი—თვალის | 4½—5½ |
| ვ. ა. ჭოღოშვილი—სნებით, ქალთა და შინაგ. | 5½—6½ |

სამკურნალოსთან მოწყობილია საქ.—საანალიზო კაბინეტი: სისხლის, შარდის, ნახველისა და სხვ. შესამოწმებლათ. ძიძის შემოწმება, ყვავილის აცრა, 606—914 შესხმა კონსულტატიურათ. არის ცალკე ოთახები მძიმე ავათმყოფებისა და მშობიარეთათვის. რჩევა 10 შაური, ოპერაცია და კონსულტაცია მორიგებით 3 მანეთიდან და ამაზე მეტათ. ექიმთა მუდმივი მორიგობა. ტელეფონი 140 №

სამკურნალოს დირექტორი—ვ. ა. ჭოღოშვილი. წ.

1 დეკემბრიდან ქუთაისსა და ბაღდადსშუა მიმოსვლის გასაადვილებლათ მოქმედებას იწყებს **მ. ა. შალამბერიძის** რეზინის შინებიანი

**დ ი ლ ი ჟ ა ნ ი.**

ბილეთის ფასი 3 აბაზი.

დილიჟანი ქუთაისიდან გავა ყოველდღე ნაშვადღევის 1 საათზე, დაბრუნდება ბაღდათიდან დილის 7 საათზე. დილიჟნის კანტორა მოთავსებულია ალექსანდროვის ქუჩაზე სიმონ თედორაძის შენობაში.

**შევენახეთ საყურადღებოთ!**

1913 წლის ღვინის მოსავალს თითქმის ნახევარზე მეტი დააკლდა გოლვების, ცუდი ადაპტაციისა და რუპესტრის დიუ ლო-ს ხმარების გამო. ამერიკული ვაზის სანერგე „კლდე ყლურული" ქუთაისში ერთადერთი სანერგე, რომელიც ამყნობს სხვადასხვა ვაზზე ყველა ნაირი ნიადაგის მიხედვით შესაფერი ჯიშის ვაზებს. დამზადებული აქვს გასასყიდათ 1913—14 წლ. 35,000 ცოლიკოური, 40,000 კრახუნა, 28,000 ციცკა, 12,000 ანდასაული, 10,000 მწვანე, 32,000 რქაწითელი, 12,000 მგალობლიშვილის, 8000 ოცხანური, 35,000 საფერავი, 25,000 ალიგოტე, 8000 რისლინგი, 10,000 პინო, 25,000 სემილიონი 42,000 კაბერნე, 20,000 ფოლ—ბლანში, 28,000 გამე თეთრი და შავი და 80,0000-ზე მეტი სხვადასხვა საუკეთესო საჭმელი ჯიშის ვაზი „ლო"-ზე დამყნილი, 3309 101—14, 1202 420 A. ფასი საღვინე ვაზების 65 მან. 1000 და მაღლისა—80 მან. კანტორა იმყოფება მიხეილის ქუჩაზე მმ. გოგიელის სახლში **ვ. ტიეზე.**

ვინც თუთუნს ეწევა, ვსთხოვთ, მიაქციონ ყურადღება ახლათ გამოსულ პაპიროზებს

**პ ა რ ო ს ი** { 25 ცალი 3 შ. / 10 — 6 კ. } იყიდება როგორც სხვა ქალაქებში ისე ქუთაისშიც.

პაპიროსები საუკეთესო ხარისხის თათრული თუთუნისაა, სასიამო სუნითა და საუცხოო გემოვნებით.

თუთუნის ქარხანა **ძმათა სეილანოვებისა.**

თ ფ ი ლ ი ს შ ი.


## ქალაქის თეატრი.

შაბათს, 7 დეკემბერს ქალაქის თეატრში თფილისის ქალთა უმაღლესი კურსების ლექტორი ბ-ნი სარგის კაკაბაძე წაიკითხავს ქართულათ საჯარო ლექციას თემაზე:

**ახალი შეხედულებანი საქართველოს საშუალო საუკუნეების ისტორიის შესახებ.**

ლექციის შემოსავალი გადადებულია „ვეფხისტყაოსნის გამოსაცემათ. ბილეთები იყიდება კასაში. დასაწყისი საღამოს 8 საათზე


**დიდი იაფი ვაჭრობა.**

**მოსკოვის საფართლო მაღაზიაში**

(ვორონცოვის ქუჩა, საგუბერნიო სამართველოს ქვეშ)

**18 ნოემბრიდან გაიხსნება**

**დიდი იაფი ვაჭრობა**

დრაპების, მაუდების, ტრიკოების, აბრეშუმების, შალების, ზამთრის ჩითებისა და ყოველგვარი ფართლეულობის. ფასები დაკლებულია 40%, რაშიც მყიდველნი თვით დარწმუნდებიან. ფასი უვაჭროთ.

პატივისცემით გაბუნია.

**პირდაპირ ნახევარ ფასათ იყიდება!**

ახლათ მიღებული საქონლები პირველი ღირსებ..., რუსეთისა და საზღვარგარეთის საუკეთესო ქარხნებიდ და უკანასკნელი მოდის. გაყიდვა დაიწყება დღეიდან მოკლე ვადით ქ. ქუთაისში ბულვარის პირდაპირ, ძმ. ოცხელების შენობაში, ახვლედიანის მაღაზ ის უკანა განყოფილებაში, სადაც იყიდება შემდეგი ახლათ მიღებული საქონლები: კაცის ყოველნაირი მშვენიერი კასტიუმი, 5 მან. დაიწყება ფასი და ამას ზევით, რა ფასიანიც ესურვებათ; კაცის, ქალისა და ბავშების ყოველნაირი პალტოები ზამთრისათვის, საშემოდგომო და საზაფხულო, კაცის შარვლები და პიჯაკები, ფეხსაცმელები ქალის, კაცისა და ბავშვის საუკეთესო ფირმების მრავალგვარი, ზეწვის მუფთები ქუდები და შალები ლაზლის მრავალგვარი, აბრეშუმის იუბკები დიდი ასარჩევი, შალის კაბის ქვედა წელები, ზედაწელები და ზედაწელის მატერიები ნაჭრობით: კალოშები, კაცის ქალის და ბავშების რედიკულები, ალბომები, სარკეები და ქალის და კაცის, ქამრები და საქამრე რეზინები, ყოველნაირი რეზინა შემოსაჭერისათვის და აგრეთვე მზა შემოსაჭერი ქალთა და ბავშთათვის. კორსეტები და სხვა. ამასთანავე მოვახსენებ პატივცემულ საზოგადოებას, რომ

ახვლედიანის მაღაზიაში არის მიღებული დიდძალი ყოველნაირი ახალმოდის საქონელი და მზა ტანისამოსი, ფეხსაცმელი კაცის, ქალის და ყმაწვილების და ასეთებს ვღებულობთ ყოველდღე. ფასები ხელმისაწდომია და უვაჭროთ.

პატივისცემით ა. ახვლედიანი. № 3.

**აქიმი** დ. ჯაფარიძე იღებს შინაგანის, ბავშების, აგრეთვე ყელის, ცხვირისა და ყურის სნეულებით ავათმყოფებს. თფილისის ქუჩა სახლი ნიჟარაძისა.

**აქიმი** ი. ჩარექიშვი იღებს კანისა და ვენერიულ ავათმყოფებს ახალ ბინაზე. მხოლოდ დილით 12—2 ს., საღ. 6—8 ს. სხვა დროს ექიმი საავათმყოფოშია.
მისამართი: გაგარინის ქუჩა, პოლიციის გვერდით, ფირალოვის სახლში, თ.

**აქიმი** ვ. მ. ლორთქიფანიძე დაბრუნდა და განაგრძობს ავათმყოფების მიღებას.

**აქიმი** გ. ა. მეიფარიანი. ღებულობს შინაგანი, ბავშებისა და ვენერიულ ავათმყოფებს. დილის 9—12 საათ. და საღამოს 5—7 საათ. თფილისის ქუჩა, საკუთარი სახლი № 30 ტელეფონი № 150. თ.

**აქიმი** კ. თ. ტყეშელაშვილი. ღებულობს ავათმყოფებს (შინაგანი, ვენერიული, კანის) ვიტუშინსკის სახლი, აფთიაქის უკან, პუშკინის ქუჩიდან ტელეგრაფის შესახვევში. თ.


## სახელმწიფო სათათბირო.

3 დეკემბრის სხდომა.

სხდომას რძიანკო თავჯდომარეობს. შემოსულ საქმეთა შორის არის სარატოვის დეპუტატის ლიხაჩევის განცხადება, რომ ის დეპუტატობას თავს ანებებს და იუსტიციის მინისტრის განცხადება კერენსკის სამართალში მიცემის შესახებ. სუვგანსკი უძრავ ქონების გადასახადზე კანონპროექტის შესახებ კომისიის დასკვნას კითხულობს. ორატორი ამბობს: ახალი კანონპროექტის ძალით უძრავ ქონებაზე გადასახადის ექვს პროცენტიანი ნორმა უნდა დაწესდეს. აქიდან ერთი პროცენტი ქალაქის თვითმართველობებს მიეცემა კულტურული საჭიროებისთვის და სამიც ერობებს. პოლონეთის სამეფოს ქალაქებში კი ათ პროცენტიანი ნორმა დაწესდება. კომისიამ კანონპროექტის მიღება შესაძლებლათ სცნო და აღიარა ქალაქების ფინანსთა გაუმჯობესების ერთერთ საშვალებათ.

მალინოვსკი აცხადებს, რომ ის კანონპროექტის მუხლობრივი განხილვის წინააღმდეგია. მთავრობა არ უნდა აძლევდეს ფულს უანგარიშო ხარჯებისთვისო. გეგეჩკორი ამბობს: ორი კვირის წინათ სათათბირომ უარყო ექვსპროცენტიანი ნორმა. ფინანსის მინისტრმა ისევ შემოიტანა კანონპროექტი ექვსპროცენტიანი ნორმით. კადეტები იმის მომხრე არიან, რომ ქალაქებს მიენიჭოს უფლება გადასახადის თავის ნებაზე დაწესებისა. სავიჩი ვრცლათ მოუთხრობს სათათბიროს კანონპროექტის ისტორიას. აღნიშნავს, რომ ეს პროექტი მესამე სათათბირომ მიიღო. ახლა მის მიღებას ორატორი სახალხო წარმომადგენლობის უფლების შელახვათ სთვლის. გეგეჩკორი აცხადებს: ტრუდოვიკები თავისს პრინციპიალურ მოსაზრებას არ უღალატებენ და კანონპროექტის მუხლობრივ განხილვის წინააღმდეგ წავლენ. რეალური გადასახადის დადება მუნიციპალიტეტების საქმე უნდა იყოს და არა სახელმწიფო ბიუჯეტში შედიოდეს. მარკოვი მეორის აზრით მთავრობა გონიერათ მოიქცა, როდესაც პირველი კანონპროექტის უარყოფას შემდეგ მეორე კანონპროექტი შემოიტანა. ეს მთავრობის მხრით გონიერი მოქმედებაა, რის გამოც მემარჯვენეები სიამოვნებით ეგებებიან. მემარჯვენეებს საერთოდ პროექტის მიღება შესაძლებლათ მიაჩნიათ, შემოგვაქვს მხოლოდ ერთი შესწორება. ღარიბი სახლის პატრონები, ვინც ორ მანეთზე ნაკლებს იხდიან გადასახადისგან სრულებით უნდა განთავისუფლდენ. კოტლიარევი ამბობს: თვით მთავრობა რენტაში ოთხ პროცენტს იხდის და ამიტომ ამ ნორმას მხარი უნდა დავუჭიროთო. შესტინიკოვი თანაუგრძნობს ფინანსიური კომისიის დასკვნას. გადასახადის დაკლება ორატორს შეუძლებლათ მიაჩნია. ის აღნიშნავს, რომ სახლისპატრონებმა მდგმურებს გადასახადი ფრიად მოუმატეს. ფინანსის მინისტრის ამხანაგი შაკროვსკი დეპუტატს ველიხოვს უპასუხებს და აღნიშნავს, რომ ადგილობრივ თვითმართველობებს კანონპროექტი არავითარ ბჯეკას არ ახვევს თავზეო. ის ეთანხმება ფინანსიური კომისიის დასკვნას და ამბობს: აქ საქმე არა გადასახადის გადიდებაზე, არამედ არსებულის დაცვაზე, რომლიდანაც ერთი პროცენტი ადგილობრივი თვითმართველობების სასარგებლოთ გადაიდებაო. გესტუეცკი ამბობს: რაკი აღიძრა საკითხი გადასახადის შემცირების შესახებ ელემენტარული სამართლიანობა მოითხოვს—ეს გადასახადი ერთნაირათ შემცირდეს როგორც რუსეთის სხვადასხვა ქალაქში, ისე პოლონეთშიც. ორატორს შემოაქვს შესწორება და ითხოულობს უძრავ ქონებაზე გადასახადი შემოსავლის მიხედვით ეწერებოდეს მცხოვრებთ, ხოლო როდესაც საქალაქო თვითმართველობას შემოიღებენ, მაშინ იმგვარი ნორმა დაწესდეს, რაც რუსეთის სხვა გუბერნიებშია იქნება. კენჭის ყრით ღებულობენ შესტაკოვისა და მარკოვ მეორის შესწორებას, გადასწყვიტეს ექვსპროცენტიანი ნორმა დაწესდეს, ხოლო პოლონეთში ათ პროცენტიანი, მიიღეს სალაზკინის შესწო-

რებაც, სხვა შესწორებები და წინადადებები უარყვეს. აქვეყნებენ ესდეკებისა და ტრუდოვიკების საჩქარო შეკითხვას შინაურ საქმეთა მინისტრის მიმართ. შეკითხვა გამოწვეულია შინაურ საქმეთა მინისტრის მიერ გამოცემული ცირკულიარით, სადაც გუბერნატორებსა და გრადონაჩალნიკებს ევალებათ გაფიცვის საქმეში ჩარევა. ბურიანოვი მხარს უჭერს შეკითხვის სისწრაფეს და აღნიშნავს: ცირკულიარი 1905 წლის 2 დეკემბრის ბძანებას არღვევსო. სწერენ ადგილობრივ ადმინისტრაციის თვალყური ადევნოს გაფიცვის მსვლელობას, ჩაერიოს მუშებსა და ქარხნის ადმინისტრაციას შორის მოლაპარაკებაში და გაფიცვაში მონაწილე მუშები სამართალში მისცეს. მარკოვ მეორე შეკითხვის სისწრაფის წინააღმდეგ მიდის და აღნიშნავს, რომ გაფიცვებს მუშებისთვის გარდა მავნებლობისა სხვა არაფერი არ მოაქვს. გაფიცვა ცხოვრების გაძვირების პროცესსაც აძლიერებს, მუშათა ცხოვრების გაუმჯობესების ერთადერთი საშუალებაა მთავრობის კეთილმოყვარე პოლიტიკა. ორატორი აღნიშნავს, რომ მუშათა უმრავლესობა თავის ნებით კი არ იფიცება, არამედ მათ ძალას ატანენ და ტერორითაც კი ემუქრებიან უმცირესობა მუშებისა და ესდეკები. კერენსკი შეკითხვის სისწრაფეს მხარს უჭერს. ის ამბობს: უკანასკნელი წლების ამბებს შემდეგ ძნელი სათქმელია, რომ მთავრობა მუშებთან კარგ დამოკიდებულებაში იყოს. დეპარტამენტის მიერ გამოცემული ცირკულიარი უარყოფს მოქალაქის ძირითად უფლებას, რომელიც კანონით უზრუნველყოფილია. შეკითხვის სისწრაფეს უარყოფენ. შემდეგი სხდომა საღამოს.

## ახალი ამბავი.

✦ ილია ჭავჭავაძის თხზულებათა საგანგებო გამოცემა ჟურნალ-გაზეთების კანტორა „იმერეთსაც" მოუვიდა. კანტორის გამგე, ბ. ის. კვიცარიძე გვთხოვს გამოვაცხადოთ, რომ ამ გამოცემის ჯერჯერობით მხოლოდ ერთი პარტია მოუვიდა და ამხანათ ყველა თავის ხელისმომწერლებს ვერ დააკმაყოფილებს. წიგნი თფილისში დააგვიანა აკინძვამ და ყდის გაკეთებამ. კანტორის ხელის მომწერი წარადგენს კვიტანციას, 3 შაურს ფოშტის ქირას და საჭირო ცნობებს ჩააწერიებს გამომცემლისთვის საანკეტო ფურცელში

✦ შავიქვის მრეწველთა საბჭომ სისრულეში მოიყვანა მეთუთხმეტე საზოგადო კრების დავალება, რომ საბჭოს საკუთარი ბიულეტენი ჟურნალი გამოეცა. პირველი ნუმერი ამ ჟურნალისა მივიღეთ. ეს ბიულეტენები თვეში 1—2 გამოვა დ. ჩადუნელის რედაქტორობით. ბიულეტენში ბევრი საყურადღებო ცნობაა ქიათურაში შავიქვის წარმოების შესახებ. ამ ცნობებს ხვალ მოვიყვანთ.

✦ ქუთაისის საადგილმამულო ბანკის გირავნობის ფურცლები პეტერბურგის ბირჟაზე იყიდება 78 მან. და 10 შაურათ; თფილისისა—80 მ. 10 შ.

✦ ქალაქის გამგეობას ბევრი ღარიბი მცხოვრები აწუხებს და სალორიიდან შეშის უფასოთ მოცემას სთხოვენ. ქალაქის გამგეობა შეძლებისდაგვარათ აკმაყოფილებს მთხოვნელებს.

✦ 3 დეკემბერს, საღამოს 7 საათზე რიონის სადგურის მახლობლათ ქალაქის ტყეს-სალორიაში—ცეცხლი გაუჩნდა, ქალაქის მოურავის განკარგულებით სწრაფათ გაიგზავნა ცეცხლის მქრობელ რაზმი და ქალაქის მუშები, ცეცხლი საკმაოთ გაძლიერებული იყო და მქრობელი რაზმი გაჭირვებით მიუდგა. მუშების სიმარჯვით ცეცხლი მალე ჩააქრეს... აქიდანვე დიდი ცეცხლი მოსჩანდა ბაღდადის მხარეს.

✦ ქალაქის სანიტარებს: ვ. ბეჟანეიშვილს, ი. ჩაჩანიძეს და კ. შავგულიძეს უსუფთაობისა და სანიტარული წესების დაუცველობისთვის ოქმები შეუდგენიათ შემდეგი რესტორანებისა და სასტუმროებისთვის: სასტ. „ევროპა", „პეტერბურგი", „კოლხიდა", და „ვეტცელი" და აგრეთვე ქარვასლის ქუჩაზე მცხოვრებ ბოლქვაძისთვის.

✦ დღეს ალ. გარსევანიშვილი ახალ სენაკში ლექციას კითხულობს „მე-18 საუკ. ქართველ ქალებზე".

✦ „ნოვოე ვრემია"-ს სიტყვით, ამ დღეებში ოფიციალურათ გამოცხადდება მეფის მოადგილის კანცელარიის დირექტორის პეტერსონის მეფის მოადგილის სამოქალაქო ნაწილის თანაშემწეთ დანიშვნა.

✦ 1914 წლისთვის გადასწყდა საერთაშორისო ავტომობილის კონკურსი; უნდა მოიარონ შემდეგი პუნქტები: მოსკოვი, კავკავი, თფილისი, სოხუმი, ქუთაისი, გაგრა, სევასტოპოლი და ადესა.

✦ 3 დეკემბრისთვის სახელმწიფო სათათბიროში დანიშნული იყო კანონპროეკტი ბათომში საფუთო გადასახადის შესახებ.

✦ თფილისის ქალთა უმაღლესი კურსების ლექტორმა ს. კაკაბაძემ შუამდგომლობა აღძრა თფილ. გუბერნატორის წინაშე, ნება მიეცეს 1914 წლის 1 იანვრიდან გამოსცეს თფილისში ყოველთვიური მეცნიერული ჟურნალი—„ჩვენი სიძველე".

✦ კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველმა წინადადება მისცა ბათომის გიმნაზიის დირექტორს გენკელს სამსახურიდან გადადგომის ქაღალდი შეიტანოს. გენკელი გამოწვეული იყო პეტერბურგიდან იქაური ისტორიკო-ფილოლოგიური ინსტიტუტის დირექტორის რეკომენდაციით და პირველათ დაინიშნა თფილისის 1-ლი გიმნაზიის დირექტორათ, რამაც მაშინ დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია საზოგადოებაშიო, ვინაიდან უკეთესი კანდიდატებიც ბევრი მოიძებნებოდაო, ბათომში ის შარშან გადაიყვანეს.

✦ ს. ქვარიანის წიგნის „შოთა რუსთველი და მისი პოემა" გამომცემელი გვთხოვს გამოვაცხადოთ შემდეგი: ქუთაისში ქაღალდის უქონლობის გამო, ქაღალდი ფინლიანდიიდან გამოუწერიათ, და ამას შეუფერხებია საქმე. ამ ჟამათ ქაღალდი მიუღია და ოთხი ფორმა კიდეც დაბეჭდილაო, და მალე სულ დამზადდებაო. იმ აგენტებს, ვისაც ანგარიშება გამომცემლისთვის არ ჩაუბარებია, სთხოვს ჩააბაროს, ან და დაკვეთილი წიგნის რაოდენობა შეატყობინოს, უამისოთ წიგნს ხელის მომწერლები ვერ მიიღებენო.

✦ დღეს შავიქვის საბჭოს დარბაზში, საღამოს 7 საათზე დანიშნულია „ქალთა საზოგადოების" მორიგი კრება. ელენე ბახტაძის ასული წაიკითხავს მოხსენებას შემდეგ თემაზე: „ავგუსტ ბებელის ბიოგრაფია და მისი საზოგადო მოღვაწეობის მნიშვნელობა".

## შენიშვნა

გაზ. „მერცხლის" 92-ე №-ში „მოწერილ ამბებში" მოთავსებულია დ. ონიდან ვილაც „დამსწრეს" წერილი: „ბეილისი და აქაური ებრაელობა", სადაც ავტორი ასწერს, თუ როგორ იდღესასწაულეს ონელმა ებრაელებმა 10 გიორგობისთვე ბეილისის გამართლების დღის სახსოვრათ და მოყავს რაბინის დ. ბააზოვის აზრი, რომელიც ამ უკანასკნელს უნდა გამოეთქვას ამ დღეს საჯაროთ წარმოთქმულ სიტყვაში.

მე ბ-ნ. ბააზოვს დაახლოებით ვიცნობ; ვიცი მისი აზრი ქართველებზე და ქართული პრესის ყველა მიმართულების ჟურნალ-გაზეთზე. საზოგადოთ იგი ზოგიერთი ჩვენებური ებრაელივით ჩამორჩენილი და ტრადიციული ფანატიზმით დაბრმავებული არ არის; შედარებით ფხიზელი, სალი გონებისა და შეხედულების ადამიანია და პროვინციელ სიონისტთა მოწინავე რაზმში სწერია.

ამიტომ მე ცოტა არ იყოს ეჭვი შემეპარა ბ-ნ დამსწრეს მიერ მოყვანილი ცნობების სინამდვილეზე, რის გამოც წერილი მივსწერე ბ-ნ ბააზოვს და შევეკითხე—ეკუთნოდა თუ არა მას ეს აზრი?.. იმანაც, როგორც მოსალოდნელი იყო, დაუყონებლათ მიპასუხა სწორეთ ისე, როგორც მე ვფიქრობდი... წერილს ასეათავებდა: „ძმაო, ია! გწერ ყოველივე ამას შენი შეკითხვის პასუხათ და თან გაძლევ უფლებას თუ გსურს გამოაქვეყნო იგი პრესაშიც.

მე თვით მინდოდა გამეცა პასუხი ამ არამკითხე „დამსწრესათვის", მაგრამ, სამწუხაროთ, დრო არ დამრჩა,—მოულოდნელათ მიხდება საზღვარ გარეთ წასვლა (ჩვენი შკოლების შესახებ) და ამ წერილსაც ძლივს ვასწრებ..."

აი, ამტომ ვაძლევ ჩემს თავს ნებას თვით ბ-ნი ბააზოვის წერილი სიტყვასიტყვით გამოვაქვეყნო და ეს ბევრათ უფრო უმჯობესათ მიმაჩნია სანამდვილის გამოსარკვევათ, ვიდრე ამ საკითხის შესახებ ჩემი საკუთარი აზრისა და დასკვნის მოყვანა...

აი ეს წერილიც:

„...... ყველამ კარგათ უწყის, თუ რა ნერვიული გულის ძგერითა და თითქმის ისტერიული სულის შფოთვით ელოდა მრავალ-საუკუნეთ დატანჯულ-განაწამები მთელი ქვეყნის ებრაელობა და მათ შორის ჩვენც, სტუმართ მოყვარე საქართველოს სხვადასხვა კუთხეში არსების პურის საძიებლათ შეხიზნულ-თავშეფარებული ქართველი ებრაელობაც—ჩვენთვის საბედისწერო საკითხის,—ბეილისის საქმის საბოლოო რეზოლიუციას... ამ საქმის ჩვენდა სასარგებლოთ გადაჭრის დღე იყო უდიდესი დღესასწაული უსამართლოთ დევნილთათვის; დღე—დიადი და საისტორიო ჭეშმარიტების აღდგენისა,—ბოროტებისა და უსამართლობის დამარცხებისა; დღე-უმწეო ერის—მიერ ხანგრძლივ ლოცვა-ვედრებათ უფლისადმი ანაკმევ ნატვრის ასრულებისა და საზიზღარი ცილის წამების გაქარწყლებისა... და ამიტომ ვის რათ გაუკვირდება, თუ ამ ფრიად საგულისხმოსა და,—არათუ ებრაელთათვის, მთელი კულტურული კაცობრიობისათვისაც დაუვიწყარს საისტორიო დღეს, მოჭარბებული ნეტარების გრძნობა ვერ დაეფარა ბეჩავს, ონელ ქართველ ებრაელობასაც და სხვა, ჩვეულებრივი, უფერული დღეებიდან გასახვავებლათ რაიმე განსაკუთრებული ხასიათის საქმით აღენიშნა ეს დღე. სწორეთ ამ მოსაზრებით ონელმა ებრაელობამ ამ დიადი საქმის სახსოვრათ იუქმა 10 გიორგობისთვე. ამ დღეს ებრაელები ჩვეულებრივს არა გვანდენ. ქალი, კაცი, მოხუცი, ახალგაზდა, სუსტი თუ ძლიერი,—ყველა ერთისა და იმავე სასოების გრძნობით გამსჭვალული, ერთსა და იმავე ამბავზე ერთისა და იმავე სიხარულის კილოთი ბაასობდა და ამ ბაასს დასასრული არა ქონდა.

ცხოვრების სხვა საგანზე ზრუნვა და ფიქრი დღეს ყველას დავიწყოდა და რაღაც არაჩვეულებრივი, უზრუნველი ღიმილი უთამაშებდათ სახეზე. თვით მათთვის სათაყვანო, მეორე—მიწიერ ღმერთად გადაქცეულ ფულისა და ვაჭრობისთვისაც დაენებებიათ თავი, თითქოს მარტო ბეილისის გამართლება კმაროდა მათი არსებობისთვის. და სამართლისა და მართლმსაჯულების ღმერთისადმი სასოებით ავსილნი შეკრებულიყვნენ თავის სალოცავში ღვთის მსახურებისათვის, რომ უკანასკნელი თაყვანება და დიდება ეგმიათ იმ უფლისადმი, რომელიც დაეხმარა მათ სიმართლის აღდგენაში. ლოცვას შემდეგ გაიმართა საერთო ნადიმი. ამ ნადიმზე მე, როგორც ადგილობრივ ებრაელთა სულიერმა წინამძღოლმა დღის შესაფერი სიტყვა წარმოვსთქვი, სადაც, სხვათაშორის, ვსთქვი:

## დღიური.

რუსეთის 70 გუბერნიაში პურის მოსავალი საშვალოზე უკეთესი არისო.

— დიდმა ვეზირმა სახელმწიფოთა ელჩებს გერმანიის სამხედრო მისიის შესახებ ცნობები გადასცა.

— გერმანიის ელჩმა ბულგარეთის მეფეს რწმუნებითი ბარათი ჩააბარა.

— „ნოვოე ვრემიას" ცნობით, პეტერსონს კავკასიის მეფის მოადგილის თანაშემწეთ ნიშნვენ.

— სათათბიროშ ესდეკებისა და ტრუდოვიკების შეკითხვის სისწრაფე შინაურ საქმეთა მინისტრის მიმართ [illegible] გაფიცვის საქმეში ჩარევის შესახებ უარყო.

— ავსტრიის დელეგაცია ბალკანეთის კრიზისის შესახებ მსჯელობს.

— ლვოვში პოლონურისა და უკრაინელი კლუბების წარმომადგენელთა კონფერენცია მოხდა.

— ილიოდორეს უთქვამს, თუ პეტერბურგში არ მომცეს ცხოვრების ნება, ამერიკაში წავალო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ძველათ და ახლა.

ინტერნაციონალიზმი ნიშნავს ერთა შორის მეგობრობას, ძმობას, სიყვარულს. მარტო ბრძოლით არ ამოიწურება კაცობრიობის ისტორია: ასე რომ ყოფილიყო, პროგრესი არ იქნებოდა.

აი რას ამბობს ელიზე რეკლიუ ძველ საბერძნეთზე: „პატრიოტული გრძნობა, რომელიც ჯერ ისე ვიწრო იყო, რომ არ სცილდებოდა ერთი ქალაქის საზღვრებს, თანდათან გავრცელდა მთელ ელლადაზე (საბერძნეთზე) და ბერძენთა სხვა ქვეყნებზე, და ბოლოს ფილოსოფოსთა პატრიოტიზმი გულისხმობდა მთელს ნაცნობ მსოფლიოს. მთელი კაცობრიობის ძმობის პრინციპი არაოდეს არ ყოფილა გამოხატული ისე ცხადათ, ენერგიულათ და ისეთი დასაბუთებით, როგორც ეს ქმნეს ბერძენთ მოაზრეებმა. მათ პირველათ აღიარეს ის პრინციპი, რომელსაც 2000 წელს შემდეგ უწოდეს „საერთაშორისო ძმობა" (იხ. მისი „კაცი და მიწა", რუსული თარგმანი 1905 წ., გვერდი 364).

„რომაელმა სტოიკებმა სავსებით შეითვისეს ბერძენთ სტოიკების იდეა. სენეკა აღიარებდა სამშობლოთ მთელ მსოფლიოს. სტოიკები ასწავლიდენ: „ყველი კაცი, მონა და თავისუფალი, სწორია. თვითონ ბუნება უკარნახებს კაცს დაეხმაროს თავის მზგავსს; შეურაცხყოფა უნდა აპატიო ძმას, შური არ უნდა იქონიო; ყოველი კეთილშობილი სული კეთილია და სულგძელი". ისინი უყურებდენ მთელ მსოფლიოს, როგორც ერთ სახელმწიფოს. ადამიანები შეერთებული არიან ერთ საზოგადოებათ სიყვარულით". (იხ. იმავე წიგნის 530—533 გ.).

და ქრისტიანული ფილოსოფია განა გამეორება არ არის სტოიკთა მოძღვრებისა?

აქ არ შევეხები საშვალო საუკუნეებს. ვიტყვი მხოლოდ, რომ ამ საუკუნეთა მეორე ნახევრიდან სამეცნიეროს, სარწმუნოებრივს, ფილოსოფიურს, პოლიტიკურსა და სოციალურ მოძრაობათ საერთაშორისო, ინტერნაციონალური ხასიათი ქონდათ.

და საშვალო საუკუნეთა დასასრული და ახალი ხანის დასაწყისი, რომელიც აღინიშნა ჯერ ჩრდილო ამერიკის შეერთებული შტატების გათავისუფლებითა და შემდეგ საფრანგეთის დიდი რევოლუციით, ხომ უდიდესს ინტერნაციონალურ მოძრაობას წარმოადგენდა.

აი რას ამბობს ოლარი: „ერთი ლოღიკური მიზანთაგანი (რევოლუციისა) იყო შეერთება საფრანგეთის სამშობლოსი დანარჩენ ევროპულ სამშობლოებთან. ბევრი დემოკრატი ფიქრობდა, ავგულიანებია სხვა ერები, რომ შეერთებოდენ ფრანგებს „უფლებათა დეკლარაციის" დროშას ქვეშ. 1790 წლის ბოლოს ევროპის მონარქებმა ლუი 16-თან ერთად შეკრეს კავშირი ხალხთა წინააღმდეგ. ამან დაბადა აზრი ხალხთა კავშირის შედგენისა მეფეთა წინააღმდეგ და საერთაშორისო კავშირის პროპაგანდის საჭიროებისა. ამგვარი იყო რესპუბლიკელთა რწმენა და ალსარება. მაისში 1790 წ. გაზ. „პარიზის რევოლუცია" ქადაგებს რევოლუციის გადატანას ევროპაში. 20 აპრილს 1792 წ. ომი გამოუცხადეს ავსტრიას, რომელსაც შეუერთდა პრუსია. ამ დროს მოვიდა ფრანგთა დამარცხების ამბავიც. 21 აპრილს 1792 წლის რესპუბლიკელი კოსმოპოლიტი ანახარსის კლოოტსი მივიდა საკანონმდებლო ხარიხასთან და დაურიგა დეპუტატებს ეკზემპლიარები თავისი წიგნისა: „მსოფლიოს რესპუბლიკა".

8 ივლისს 1791 წელს დიდმა ენციკლოპედისტმა და ფილოსოფოსმა კონდორსემ წარმოსთქვა სოციალურ კლუბში სიტყვა და ამტკიცებდა, საფრანგეთისთვის რესპუბლიკაა საჭირო და საფრანგეთის ერი, როგორც თავისუფალი, ვერ იქნება სხვა ერთა მჩაგვრელიო (21 ივნისიდან 14 სეკტემბრამდი 1791 წ.) მეფის უფლება ფაქტიურათ არ იყო). (იხ. ა. ოლარის „პოლიტიკური ისტორია საფრანგეთის რევოლუციისა" (1786 წ.—1804 წ.). გვერდ. 124,154).

პარიზის რევოლუციონურმა კომუნამ, რომელიც იშვა 10 აგვისტოს 1792 წ., აღიარა და გამოაცხადა შეიარაღებული ქადაგების პროგრამა. 13 აგვისტოს კრების პროტოკოლში ვკითხულობთ: „ერთმა წევრმა შემოიტანა წინადადება, წარვუდგინოთ ადრესი საერო კრებას და მოვსთხოვოთ, განაცხადოს საფრანგეთის სახელით, რომ საფრანგეთის ერი უარყოფს სხვა ერთა დაპყრობას, მაგრამ ეხმარება მეზობელ ერებს, რომელნიც კი მოინდომებენ თავის გათავისუფლებას მონობისგან. ეს წინადადება მიიღეს". მაშინ დაიბადა იდეა უნივერსალური რესპუბლიკისა. 24 აგვისტოს 1792 წ. წარუდგინეს საკანონმდებლო კრებას ამგვარი პეტიცია: „საფრანგეთის მოქალაქის წოდება უნდა მიეცეს უცხოეთის ყველა ფილოსოფოსებს, რომელნიც მამაცურათ იცავდენ თავისუფლებას და ემსახურებოდენ კაცობრიობას". 26 აგვისტოს საკანონმდებლო კრებამ დაადასტურა ეს წინადადება, გამოაცხადა, „ერთვნულ კონვენტს" განზრახვა აქვს გააბედნიეროს არა მარტო საფრანგეთი, არამედ მთელი კაცობრიობაო", და მიანიჭა საფრანგეთის მოქალაქის ხარისხის წოდება: ჟოზეფ პრისტლეის, ტომას პენს, იერემია ბენტამს, ანახარსის კლოოტს, ნ. პესტალოცის, გეორგ ვაშინგტონს, თადეუშ კოსტიუშკოს, შილერს და სხ. (იმავე წიგნში 294 გვ.)

„ამგვარად აგვისტოში და სეკტემბერში 1702 წ. ბევრი რესპუბლიკის იდეალი იყო რესპუბლიკა დემოკრატიული, მქადაგებელი და უნივერსალური (იხ. იქვე გვერდით 296).

და რევოლიუციონური ჯარების ძლევა-მოსილი სვლა ევროპაში იყო იმავე დროს პროპაგანდა ინტერნაციონალური იდეისა.

მაშ კიდევ იტყვიან ჩვენი „დასელები", ბურჟუაზიულმა დემოკრატიამ არ იცის, რა არის ინტერნაციონალიზმიო?

ივლისის რევოლუცია 1830 წლისა საფრანგეთიდან ბელგიაში გადავიდა და მოახდინა იქ აჯანყება, რომელიც დასრულდა ბელგიის გათავისუფლებით ჰოლანდიისაგან. ამავე რევოლუციამ გამოიწვია გერმანიაში რეფორმები და იტალიაში სახალხო მოძრაობა, რომელიც მალე ჩააქრო ავსტრიამ (იხ. პფლუგ გარტუნგის „მსოფლიოს ისტორია"). ცხადია, აქ ჩანს ინტერნაციონალური ხასიათი ამ რევოლუციისა.

1831 წ. გენუელმა დემოკრატმა მაძინიმ დააარსა კავშირი „ახალგაზდა იტალიისა" და 1834 წ. კავშირი „ახალგაზდა ევროპისა", უკეთ ვსთქვათ, „ახალგაზდა გერმანიისა" და ახალგაზდა პოლონეთისა".

მაძინი პატრიოტი იყო და იმავე დროს მისი იდეიალი იყო კავშირი თავისუფალ, დემოკრატიულ რესპუბლიკათა. მან მოაწყო მთელი რიგი აჯანყებათა. შვეიცარიიდან კი გერმანელი დემოკრატები ავრცელებდენ პროპაგანდას მონარქთა წინააღმდეგ.

ორს დიდ დემოკრატს, ბერნესა და გეინეს გარდა გერმანიაში მოღვაწეობდა მაშინ მთელი რიგი ახალგაზდა მწერალთა, რომელნიც ქადაგებდენ აზრისა და მოქმედების თავისუფლებას და ძმობას ერთა შორის, ან ინტერნაციონალიზმს, ქალთა ემანსიპანციას და საეკლესიო დოგმატებისაგან გათავისუფლებას. მეტერნიხმა დააგდო ხმა, ვითომ ისინი ყოფილიყვენ ებრაელები. პრუსიის მთავრობამ მიიღო მათ წინააღმდეგ ზომები: მათი, გეინესი და ბერნეს თხუზულებანი აკრძალეს (1835 წ.) და მხოლოდ 1842 წელს გააუქმეს ეს აკრძალვა.

კომინისტური მოძრაობა დაიბ და საფრანგეთში 1839 წელს. მისი რეზიდენცია იყო მაშინ პარიზში და 1840 წლიდან გადავიდა ლონდონს. 1840 წელს ლუიბლანჵა მეცნიერული საფუძველი დაუდო შრომის სოციალისტურ ორგანიზაციის თეორიას. 1847 წლის ნოემბერში კომუნისტების კონგრესმა მიიღო „კომინისტური პარტიის მანიფესტი", შედგენილი კარლ მარქსის და ენგლესის მიერ და გამოქვეყნებული 1848 წელს. ეს მანიფესტი მოუწოდებს ყველა ქვეყნის მუშებს, შეერთდითო. (იხ. პფლუგ გარტუნგის „მსოფლიოს ისტორია").

მაშასადამე, აქ ცხადათ იხატება ბურჟუაზიული რადიკალების გავლენა სოციალისტებზე: ბურჟუაზიულ-დემოკრატიული ინტერნაციონალიზმი წინ უსწრებს და შობს მუშათა ინტერნაციონალიზმს. მეორე უცებ კი არ დაბადებულა, არამედ წარმოიშვა, როგორც შედეგი დემოკრატიული ევოლუციისა.

და მუშათა ინტერნაციონალური კავშირი მესამოცე წლებისა სწორეთ ისე უყურებს ეროვნულ საკითხს, როგორც უყურებდენ ბურჟუაზიული დემოკრატები საფრანგეთის დიდი რევოლუციისა და შემდეგ მაძინი და მისი მიმდევრები. აი რა გამოაცხადა მან 1866 წელს თავის

,,ჩვენ—ქართველი ებრაელები ზნეობრივათ ვალდებული ვართ განსაკუთრებით გულითადი მადლობა ვუძღვნათ თითქმის ყველა ქართულს პროგრესიულ გამოცემას, რომელნიც ფრიად გულმხურვალეთ შეხვდენ ბეილისის საქმეს, გამოესარჩლენ ებრაელთა ინტერესებს ამ სამარცხვინო ცილის წამებაში და ჩვენი—დაჩაგრული თანამოძმე ერისადმი გულწრფელი თანაგრძნობით გამსჭვალვა ეტყობოდათ... დიახ, დიდი მადლობის ღირსი არიან ისინი, რომ ასეთს გამწვავებულ დროს, როცა ყოველ წამს მოსალოდნელია იფეთქოს შეუგნებელმა, ფანატიზმით დაბრმავებულმა და შემაძრწუნებელი ჭორებით გაბოროტებულმა მასამ და უმართებულო შურის საძიებლათ უეცარი იერიში მიიტანოს უდანაშაულო ხალხზე, —აი, ამ დროს ჩვენს თანამოძმე ქართველებს ჩვენდამი სიმპატიასა და თანაგრძნობა-სიბრალულს უნერგავდენ.'' და სხვა.

ეს აზრი—ქართული პრესის შესახებ არა ერთხელ აღნიშნულა სხვადასხვა ებრაულ ჟურნალ-გაზეთში და მეც სამართლიანათ გავიმეორე იგი...

აი, სწორეთ (ვითომდა) ყოველივე ეს აუწერია ,,მერცხლი''-ს კორესპონდენტს, ვიღაც ,,დამსწრეს,'' მაგრამ განსაკუთრებით დაუმახინჯებია ჩემი ეს უკანასკნელი სიტყვები—ქართული პრესის შესახებ და თვითონ შეუთხზავს,—ვითომ მე განსაკუთრებული მადლობა გამომეცხადებიოს გაზ. ,,მერცხლი''-სათვის (არც მიფიქრია სახელდობ, რომელიმე ორგანოს ხსენება) და უსირცხვილოთ ამბობს: ,,ბ-ნმა ბააზოვმა ულრმესი მადლობითა და ლოცვა-კურთხევით მოიხსენია გაზეთი ,,მერცხალი'', რომელმაც ქართულ პრესაში ყველა გაზეთზე მეტი სამსახური გაუწია ებრაელებს ბეილისის საქმის დროს. დიდი ყურადღება მიაქცია ტანჯულ ხალხს და მედგრათ დაუჭირა მხარი სიმართლეს:'' (აქ, ავტორი ორ წერტილს სვამს და შემდეგ განაგრძობს) ბააზოვის სიტყვებმა გამოიწვია დამსწრეთა ვაშას ძახილი და ხანგრძლივი ტაშის ცემა''—თითქოს ეგ ვაშა და ტაშის ცემა ყოფილიყოს გაზ: „მერცხლი“-სადმი მადლობისა და ქების შედეგი!... ძალიან მიკვირს,—რათ დასჭირდა ბ-ნ დამსწრეს ამ ორგანოს წინაშე ესეთი მლიქვნელობა და მისი გაიძვერული ფარისევლობით შექება?! თუ ეს თვითონ რედაქციამ დაავალა მას, მაშინ რა საჭირო იყო ჩემი პირით ლაპარაკი, სხვისი სიტყვების ამოფარება? ნუთუ თვითონ არ შეეძლო შეეთხზა და მიეძღვნა მისთვის ცალკე შესაფერი ოდა?! როგორც ხედავ, ძმაო იაა! ეს ხინამღვილეს მოკლებული და დამახინჯებული ცნობები მე სხვანაირი მიმართულების პიროვნებათ მახასიათებს და უკუღმა აცნობს თავს მკითხველ საზოგადოებას; ეს კი ჩემთვის საგრძნობი შეურაცხყოფაა, ისეთივე მომაკვდინებელი ცილის წამებაა, როგორაც თვით-ბეილისისათვის იუშჩინსკის რიტუალური მიზნით მკვლელობა, რის გამოც ფრიად გულნატკენი ვარ ბ-ნ კორესპონდენტ—„დამსწრე-''ზე პირადათ მეც, და თვით ის ჩემი მრევლიც, რომელსაც მან, (დამსწრემ) გაზ: ,,მერცხლი''-სათვის ვაშა აყვირა და ტაში დააკვრევია... და სხვა.

ახლა თვით მკითხველმა დასდვას მსჯავრი და შესაფერი სახელითაც მონათლოს ბ-ნი ,,დამსწრე''-ს საქციელი...

ია ნაჭიძე.

# რედაქციისაგან.

მივმართავთ ხელისმომწერთა და აგენტებს გაზეთის დარჩენილი დასაგზავნი ფული და ანგარიშები დროით წარმოგვიდგინონ.

## საგულისხმო საზოგადოება.

8 ნოემბერს დამტკიცდა წესდება ქუთაისის „ბავშთა და შკოლათა მეგობრების“ საზოგადოებისა, რომლის რთული მიზანიც მეტათ სიმპატიური და ყველასთვის საყურადღებოა, განსაკუთრებით მშობელთათვის.

ამ ახალსა და მრავალმნიშვნელოვან საზოგადოებას უფლება აქვს დააარსოს ქ. ქუთაისში სწავლა-აღზდის მრავალგვარი დაწესებულება. მაგრამ განსაკუთრებული ყურადღება ექნება მიქცეული სახალხო საყმაწვილო ბაღების დაარსებას, რაც ერთი უსაჭიროესთაგანია დღეს ქუჩაზე დარჩენილს ღარიბ ბავშთათვის.

თუმცა ხსენებული საზოგადოების წევრების უმრავლესობას უნდა შეადგენდეს წესდების ძალით ადგილობრივი პედაგოგები, განურჩევლათ ხარისხისა, წოდებისა და სარწმუნოებისა, მაგრამ მშობელთა გულმხურვალე მონაწილეობა მაინც საჭირო და აუცილებელია, რადგანაც თვით მიზანი საზოგადოებისა ყველასთვის ერთგვარათ საინტერესო და სასარგებლოა ეს დაწესებულება მასწავლებელთა და მოსწავლეების მშობელთა კუთნილება იქნება. და მათი დაშორება ცხოვრებაში ხომ ყოვლად შეუძლებელი უნდა იყოს; იგინი უნდა შეადგენდენ ერთ სულსა და ხორცს და ერთად უნდა მიეშურებოდენ სინათლისაკენ, რათა მომავალ თაობას პირველ საფეხურიდანვე ჩაუნერგონ სალი ზნეობრივი და გონებრივი მიდრეკილება.

თუმცა „საზოგადოების“ მიზანია მრავალგვარი დაბალი და საშვალო სასწავლებელი დააარსოს იაფი, ხელმისაწდომი სასყიდლით და უსასყიდლოთაც, მაგრამ ჯერჯერობით უსაჭიროესათ უნდა ჩაითვალოს შველა იმ ბავშებისა, რომელნიც შკოლის კარების ნახვამდი სულიერათ და ხორციელათ მახინჯდებიან უპატრონობის გამო.

ისიც მართალია, რომ ჩვენში დიდი სიღარიბე ტრიალობს, მაგრამ მოზარდთა რიცხვი და სწავლა-განათლების სურვილი თანდათან იზდება. აი, სწორეთ ეს მდგომარეობა უნდა გვაიმედებდეს, რომ ასეთს სამუშაო ასპარეზზე გამომსვლელ პედაგოგებს საქმე დიდი და უდიდესი ექნებათ, და მათი ღვაწლი საზოგადოებისაგან დაუფასებელი არ დარჩება, უფრო იმიტომ, რომ მასწავლებელთა შეერთებულ ძალბს მშობელთა საზოგადოება გულწრფელათა და მონდომილათ მხარს დაუჭერს, რადგანაც თავისუფლათა და თანხმობით შეუძლიათ ამ ძვირფას ასპარეზზე მოღვაწეობა მშობელ-აღმზდელებს.

მოკეთე.

## დეპეშები.

(პეტ. დეპ. სააგ).

რ უ ს ე თ ი.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭოს თავჯდომარემ მიიღო დონის ოლქის მცხოვრებთა დეპუტაცია. დეპუტაციამ შუამდგომლობა აღძრა სარატოვსა და მარიუპოლს შუა რკინის გზის ლიანდაგის გაყვანის შესახებ.

მომრიგებელ სასამართლოების წარმომადგენელთა კრების 118 მონაწილემ პეტრეპავლეს ტაძარში ალექსანდრე მეორის სულის მოსახსენებლათ პანაშვიდი გადაიხადა. წარმომადგენლებმა მიიტანეს მეფის საფლავზე გვირგვინი წარწერით: კანონმდებელი მონარქის ბრწყინვალე ხსოვნას.

**ურალსკი.** 1 დეკემბერს შავიჭირით ავათმყოფი ერთი იყო და მოკვდა. სულ შავიჭირით ამ სენის გაჩენიდან 396 კაცი მოკვდა.

**პეტერბურგი.** მინისტრთა საბჭოს თავჯდომარე ილტას წავიდა.

78 გუბერნიიდან 40 გუბერნიაში ზამთრის მოსავალი საშვალოზე უკეთესი ყოფილა, ხუთ გუბერნიაში საშვალო, ხოლო სამში საშვალოზე ნაკლები.

უ ც ხ ო ე თ ი.

**სოფია.** გერმანიის ელჩმა მიქელმა მეფეს რწმუნებითი ბარათი ჩააბარა. ამგვარივე ბარათი ჩააბარა მან ოსმალეთისა და რუმინიის ელჩებს.

**მედბუნისტრეგი.** მიწიდან ცეცხლმა ამოხეთქა და რამდენიმე სოფელი და მთა დააქცია. ცნობაა— დიდძალი მცხოვრები დაიღუპავო.

**ვენა.** ავსტრიის დელეგაცია ბალკანეთის კრიზისის შესახებ მსჯელობას განაგრძობს. ბერხტჰოლდი ეხება სანჯაკის საკითხს და შემდეგ ალბანეთის დამოუკიდებლობაზე გადადის. ალბანეთს ჩემი წინამოადგილეები ურჩევდენ დახმარებას და მძიმე პასუხის გებას ვკისრულობდი, რომ ამ დახმარებაზე მე უარი მეთქვაო.

**სტამბოლი.** დიდმა ვეზირმა დიდ სახელმწიფოთა ელჩებს თხოვნა დაუკმაყოფილა და გერმანიის სამხედრო მისიის შესახებ ცნობები მისცა.

**ვაშინგტონი.** წარმომადგენელთა პალატამ ბილისა და ემიგრანტთა წერა-კითხვის ცოდნის შესახებ სასარგებლო აზრი გამოსთქვა.

**სოფია.** ბულგარეთის სააგენტო იუწყება: სხვადასხვა შემავალი ბულგარეთის მთავრობას სესხის აღების საქმეში დახმარების შესახებ წინადადებას აძლევს: სესხის აღების კომისია ოფიციალურათ აცხადებს, რომ მთავრობას შემავლებისათვის დახმარება არ უთხოვიაო. სახელმწიფო ხაზინა, მართალია, სესხს საჭიროებს, მაგრამ სესხის აუღებლათაც შეუძლია არსებობაო.

**ლონდონი.** ჩერჩილი პარასკევს პარიზს მიდის და იქიდან გერმანიას წავა.

**ტოკიო.** სამხრეთ მანჯურიის რკინის გზის უფროსათ სახალინის გუბერნატორი დანიშნეს.

**ლვოვი.** მარშლის თავჯდომარეობით მოხდა კონფერენცია პოლონურ და უკრაინულ კლუბთა წარმომადგენლების. კრებას არავითარი გადაწყვეტილება არ გამოუტანია.

**ბელგრადი.** ავსტრო-უნგრეთის პრესაში გავრცელებული ხმების გამო, ვითამ სერბიის მთავრობას რკინისგზის კონვენცია დაერღვიოს, სერბიის მინისტრთა საბჭო აცხადებს, რომ მოძრაობა ამ გზაზე სამხედრო მოქმედებათა გამო შეწყდაო.

**პარიზი.** ერთი გაზეთი ეჭვს გამოთქვამს ოსმალეთის ფინანსიურ ბლოკადის შესაძლებლობისას. მთავრობა უძლური იყო, ოსმალეთის ხუთ პროცენტიან სესხისათვის ხელი შეეშალაო.

**რომი.** დეპუტატთა პალატაში დეპუტატებს მარკიზმა უპასუხა. მარკიზმა განაცხადა: იტალიას სურს ალბანეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოთ შექმნასო. ის შემდეგ გერმანიის და ავსტრიის პოლიტიკას ეხება.

## ,,სუფრაჟისტკა“

ლიდამ მთელი ღამე ისეთ ოჯახში გაატარა, სადაც ყველა ქალის უფლებებზე ბაასობდა. მანდილოსნები განსაკუთრებული აღტაცებით საუბრობდენ სუფრაჟისტ ქალებზე. შინ რომ ბრუნდებოდა, გზაზე საბოლოოთ გადასწყვიტა სუფრაჟისტკა გამხდარიყო.

— მართლაც რომ ასაღელვებელია ჩვენი მდგომარეობა ოჯახში! რა უფლებითაა, რომ ბატონი ჩემი ქმარი შინ თავს ისე გრძნობს, როგორც ჯარის ვინმე ხარდალი, მე კი მას სულ თვალებში უნდა ვუყურო! არა, მორჩა ასეთი მდგომარეობა აწი აუტანელია! მე ვიცი, რა ადგილსაც დავიჭერ ოჯახში!

ამ ფიქრებით გართული ლიდა სახლს მიუახლოვდა. დარეკა. მსახურმა კარი გაუღო ლიდა ოთახში ბრახა-ბრუხით შევიდა.

— რა ამბავია, სალდათის ჩექმები ხომ არ გაცვია!—შენიშნა ქმარმა.

— დადგა დრო ბრძოლის დაწყებისა—გაიფიქრა ლიდამ, ნაპოლეონისებ გულზე ხელები დაიწყო და ხმამაღლა უპასუხა:—მე ასე მსურს!

— რაო?!—

ამ შეკითხვაზე ლიდას [illegible] ლებზე მოადგა და უნდოდ [illegible] შეეყვირა, რომ ამ დროს გრგომ ჩაიჩურჩულა.

— ქალბატონო, ბატონი ამ საღამოს ერთობ [illegible] ერთობ დიდი ანგარიში მოიტანა.

— მკერავმა?—იკითხა ლიდამ და ტანში ცივმა ჟრუანტელმა დაურბინა.—რა გაეწყობა! ამ საღამოს მოვითმენ, ხვალ სად წამივა!—გაიფიქრა ლიდამ და თავი შეიკავა.

მეორე დღეს გადასწყვიტა მთელი ძალღონით ქმარს შებრძოლოდა, მაგრამ დილას, ბიცოლა ესტუმრა და შეეხვეწა, რომ მის ქმარს მისთვის ერთი მეტათ საჭირო საქმე გაეკეთებია. ლიდა შეწუხდა და ბრძოლა მესამე დღისათვის გადასდვა. მესამე დღეს ლიდას ქუდი უნდა ეყიდა და იძულებული გახდა ქმართან ალერსიანათ ყოფილიყო.

მეოთხე დღეს იგი წარმოდგენაზე მიიწვიეს და ასეთ დროს ქმრის გაჯავრება საფრთხილო გახდა.

მეხუთე დღეს ლიდას გაახსენდა, რომ გაზაფხული ახლოვდებოდა და ახალი ტანისამოსი ესაჭიროებოდა.

მეექვსე დღეს, როდესაც შემთხვევით ქმარმა სუფრაჟისტ ქალებზე ბაასი ჩამოაგდო, ცოლმა გაჯავრებული კილოთი შენიშნა: —რა უნდათ ამ ქალებსო...

და ბოლოს ჩაულექსა კიდეც:—
ჯინჭველს რო ფრთა ამოუვა—
თავში ტვინი გამოუვა-ო!

ჰ. ჭორჭაძე.

## წერილი ბაქოდან.

მდგომარე სეზონში ბაქოში ქართული წარმოდგენების საქმე, რამდენათაც კი მოსახერხებელია, სასურველათ მიმდინარეობს. პიესები შედარებით შინაარსიანი იდგმება და შესრულებითაც საერთოდ რიგიანათა და კარგათ ასრულებენ. წარმოდგენებს ხალხი, განსაკუთრებით დემოკრატიული ნაწილი, ყოველთვის ბლომათ ესწრება. სამწუხარო მხოლოდ ის გარემოებაა, რომ ქართული თეატრისათვის ჯერ-ჯერობით საკუთარი შენობა არ მოგვეპოება და ახლანდელი ბინა კი, მეტათ შეუფერებელი და უხერხული, ყველა ხალხს ვერ იტევს. ყოველ შემთხვევაში ხალხს დიდს ამაგსა და სამსახურს უწევს ადგილობრივ წ. კ. საზოგადოებასთან არსებული მხნეთ მომქმედი დრამატიული სექციის კომიტეტი და განსაკუთრებით კი უანგარო, დაუღალავი მუშაკნი—სცენის მოყვარენი მით, რომ მას ასეთ გონივრულ გასართობს და სულიერ საზდოს აწვდის. ყოველ პატიოსანსა და გულწრფელ ადამიანს ასეთი მოვლენა სიამოვნებას უნდა გვრიდეს და მადლობის გრძნობით ავსებდეს. ხოლო ამ დაწესებულებისადმი ბავშური შურით და უმიზეზო მძულვარებით აღჭურვილი ქუთათური „მერცხლის“ ბაქოელი ღირსეული „მოჭიკჭიკე“, სახელდობ ვინმე სასტიკი სრულებით წინააღმდეგ გუნებაზე დაუყენებია ამ გარემოებას და დასახელებული გაზეთის 78-ე №-ში გამოუჭიმავს თავიდან ბოლომდი სიმართლეს მოკლებული თავისი „წრის“ სახელის გადიდების სურვილით გამოწვეული, სიყალბეზე და უმეცრებაზე აგებული წერილი. არსებითად იმ წერილის განხილვა ჩვენს მიზანს არ შეადგენს და არც ასეთი უაზრო შრომის სურვილი და ხალისი გვაქვს. მხოლოდ არ შეგვიძლია მწუხარება არ გამოვსთქვათ იმის გამო, რომ „მერცხლის“ ხელმძღვანელნი სიამოვნებით, შეუმოწმებლათ თავის გაზეთში ადგილს უთმობენ კულტურული დაწესებულების წინააღმდეგ ისეთ წერილს, რომელიც სიწითლესა გვრის საქმის კარგათ მცოდნე თვით „მერცხლის“ თანამოაზრეებს, რომელთაც „ბრძენ“ ,,სასტიკსავით'' გონება ვიწრო, ყურმოკრული დოგმებით სასტიკათ შებოჭილი არ აქვთ და ცხოვრებას უფრო სალი თვალით უყურებენ.

* * *

გასულ კვირას, 24 ნოემბერს, ბაქოში გაიმართა დ. კლდიაშვილის საღამო თვით სახელოვანი იუმორისტის თანადასწრებით. საღამოს ბრწყინვალე დღესასწაულის ელფერი ედვა. პირველათ ს. ჭანტურიშვილმა წარმოსთქვა მოხდენილი და შინაარსიანი სიტყვა დ. კლდიაშვილის შემოქმედებაზე. ითამაშეს „ირინეს ბედნიერება“ ერთი მოქმედება და დარისპანის გასაჭირი. წარმოდგენა მწყობრი და რიგიანი იყო. განსაკუთრებული ყურადღება მიიქცია აზრიანი, ბუნებრივი და თავისებური თამაშით ა. ქარქაშაძემ (ფსევდონიმია)

---

ორგანოში: „მუშათა საერთაშორისო მოძრაობას წინ უნდა უძღოდეს თავისუფალი და მთლიანი ეროვნული განვითარება. ...ჯერ თითოეულმა ერმა უნდა მოიპოოს შინაგანი პოლიტიკური თავისუფლება და დამოუკიდებლობა. და, თუ ეროვნული საკითხი უფრო ადრე არ გადაწყდა, ისე არ დამყარდება ძმობა ერთა შორის“.

და საერთო საბჭო მუშათა ინტერნაციონალური კავშირისა თანასწორათ თანაუგრძნობდა, როგორც ფენიების მოძრაობას ინგლისში, აგრეთვე რომისა და პოლონეთის აჯანყებათ, თუმცა არცერთი ეს მოძრაობა არ ყოფილა წმინდა პროლეტარული, არამედ იყო მხოლოდ დემოკრატიული (იხ. ჟიტლოვსკი: „სოციალიზმი და ეროვნული საკითხი“, 1906 წ., გვერდ. 13—16).

და თვით ორგანიზაცია ინტერნაციონალისა წარმადგენდა ეროვნულ სექციათა კავშირს.

მაგრამ მესამოცე წლების ინტერნაციონალისტების პრინციპს შემდეგ გერმანიის სოციალდემოკრატიის მამამთავარმა ლიბკნეხტმაც კი უღალატა. აი რას სწერდა ის 1897 წ. 10 აპრილს: „თავისი ეროვნული სააბალშენო პოლიტიკით გერმანელმა ხალხმა შექმნა ავსტრიაში ისეთი ძალა, რომელსაც შეეძლო, რომ გერმანელ ხელმწიფეებს არ შეეშალათ ხელი, დაეპყრო მთელი ბალკანეთი და კონსტანტინეპოლი, ეს გასაღები მსოფლიოს ბატონობისა“. და იმავე დროს თანაუგრძნობს გერმანელთა გაბატონებას ავსტრიის სლავებზე, რომელთაც ბარბაროსებათ ნათლავს! (იხ. იქვე გვ. 18—19) როგორ მოგწონსთ სოციალისტ-ინტერნაციონალისტი? განა ინტერნაციონალისტმა ვისიმე დაპყრობა უნდა ინატროს?!

1897 წ. ერთმა გერმანულმა სოციალდემოკრატიულმა ორგანომ, ,,საქსონიის მუშათა გაზეთმა“, გაკიცხა პოლონელი სოციალდემოკრატები, რატომ ქადაგებენ პოლონურ ენაზე მუშებს შორისო.

და, როდესაც სოციალდემოკრატები და კოსმოპოლიტები ებრძვიან ჩაგრული ერის სეპარატიზმს, მათ ალაპარაკებს, უეჭველია, არა ინტერნაციონალისტური გრძნობა, არამედ ვიწრო, შოვინისტური პატრიოტიზმი. ასეა ავსტრიაში, უნგრეთში, გალიციაში, გერმანიაში და სხ. (იხ. იქვე გვ. 19, 20, 21).

და ეს შოვინიზმი ინტერნაციონალიზმის სახით გერმანიიდან რუსეთშიც შეიჭრა. მაგალითად, პლეხანოვმა, ლენინმა და მათმა ამხანაგებმა რომ ენათა თანასწორობა არ აღიარეს, ისინივე რომ ყოველგვარ ღონისძიებას ხმარობენ, რომ ქართველ ესდეკებს ღმერთი არ გაუწყრესთ და ავტონომიის პრინციპი არ აღიარონ და სხ., რას ნიშნავს, თუ არ ვიწროს, ეგოისტურ, შოვინისტურ მიდრეკილებას?!

დიაჰ! რუსეთის ესდეკებს დიდი დანაშაულობა მიუძღვისთ, ხელი რომ აალეგბიეს თავის თავზე, თავისუფლება და დამოუკიდებლობა რომ წაართვეს ქართველ ესდეკებს! ამ საცოდავებმა კი მთლად დაკარგეს თავისი საკუთარი ნების ყოფა და სული არ შეუძლიათ დაბერონ თავისი ბატონების დაუკითხავათ.

ვფიქრობ კი, რომ ჭეშმარიტი ინტერნაციონალიზმი მალე დაუსხლტება ხელიდან პარტიის გენერლების გავლენას და დაადგება თავისუფალი განვითარების გზას.

მაგრამ რა მნიშვნელობა აქვთ სოციალისტურ პარტიებს ეროვნული საკითხის გადაწყვეტისათვის?

ის, რომ მხოლოდ მათ შეუძლიათ გასწმინდონ ეროვნული მიმართულება შოვინიზმისაგან, გადასწყვიტონ სამართლიანათ ეს საკითხი, შეარიგონ ერები, დაამყარონ მათ შორის ძმური კავშირი და მოსპონ სამუდამოთ მტრობა და შუღლი. ე. ი. მხოლოდ მათ შეუძლიათ განახორციელონ სისრულით ინტერნაციონალიზმი.

მათი გავლენით ნაციონალ-დემოკრატებიც თანდათან უბრუნდებიან იმ იდეალს, რომელსაც აღიარებდენ საფრანგეთის დიდი რევოლიუციის პატრიოტები და ახალგაზდა ევროპის ეროვნული მოღვაწეები.

მეორე მხრით, როგორც ხსენებული ფაქტებიდან ჩანს, უმთავრესათ ნაციონალდემოკრატები აწარმოებენ ეროვნულ პოლიტიკას, უმათოდ შეუძლებელი იქნება. ეროვნული საკითხის საბოლოო გადაწყვეტა.

მაშასადამე, სოციალისტური და ნაციონალდემოკრატიული პარტიები, გათავისუფლებული ვიწრო, შოვინისტური მიმართულებისაგან, აღმსარებელი საერთაშორისო, ძმობისა, ე. ი. ინტერნაციონალიზმისა, ერთად უნდა ცდილობდენ ჩაგრული ერების გათავისუფლებას, ერთა შორის სამართლიანი დამოკიდებულების დამყარებას.

დიახ! სოციალისტურ პარტიებს ბევრი რამ აქვთ საერთო ნაციონალ-დემოკრატიასთან. და მათი საერთო მოქმედებით შესაძლებელია, ბურჟუაზიული წესწყობილების დროს გადასწყდეს ეროვნული საკითხი.

ამის თავდებია ბურჟუაზიული დემოკრატიის მიერ ინტერნაციონალისტური პრინციპის აღსარება, რომელიც აღვნიშნეთ ზევით, და ის ფაქტი, რომ ინტერნაციონალური სოციალიზმი უახლოვდება ინტერნაციონალურს ნაციონალ-დემოკრატიულ იდეალს.

ტყვია.

(დასასრული ხვალ.)

სავაჭრო სახლი
ი. გოკიელის შვ—ბის
ქუთაისში.

ერთათ ერთი წარმომადგენელი მთელ ამიერ კავკასიის ცნობილ აზრუმის ჭიის თესლის
ს. ხრისტოდულიდის (რომელსაც წინათ ეძახდნენ წერეთელს)
ამით აცნობებს პატივცემულ მეაბრეშუმეებსა და თესლის გამყიდველებს, რომ ვინც ახლავე პირველ [illegible] თესლს არა ნაკლებ ერთ ყუთისა, რომელშიც 200 კოლოფიი ექვს მისხლიანი. მათ დაეთმობა კოლოფი 1 მ. 70 კ. [illegible] ყუთზე 40 მანეთი, დანარჩენი ფული, როდესაც თესლს წაიღებენ. შეკვეთა თესლისა მიიღება უმთავრეს საწყობში ქუთაისში თავის სავაჭროში, მიხაილოვის ქუჩაზე. ფარსანაყანევისათვის, შუანთვისთვის, ქვიტირისთვის, მაღლაკისთვის, პატრიკეთისთვის, საყულიასათვის, სვირისთვისა და წყალტუბოსათვის აგენტათ გამყიდველებისათვის დანიშნულია დეპუტატი მქონიმეს მე ნუცუბიძე, რომელიც ცხოვრობს ფარცხნაყანევში იარმუკაში.

დეპოლამპეულის, ჭურჭლეულობის, ავეჯეულობის და შპალიერის
ფ. ს. ფილიპოვისა.
ქ. ქუთაისში. ალექსანდრეს ქუჩაზე,
მოიპოვება ყოველთვის ელექტრონის მრავალგვარი არმატურა და მისი მოწყობილებანი, ყოველნაირი სახლ-ჯახო სამკაული: ნავთის სამოვრები, ლუმლები (ფეჩები), სამზარეულოები, იატაკზე საფენი „ლინელიუმი", სამუსიკო ინსტრუმენტები (საკრავები), საეკლესიო სამკაული და მრავალგვარი მეირფასი სახლ-ჯახო ნივთი, აუარებელი ასარჩევი ნიმუში, შპალერის თოფი 2 შაურიდან ვიდრე მანეთნახევრამდი. ფასები ყოველი კონკურენციის გარეშე.
პატივისცემით ფ. ს. ფილიპოვი. № 10.

ბარბაქაძისა და დარისპანის როლებში. თვით დ. კლდიაშვილმა წაიკითხა თავისი პატარა მოთხრობა. ნიჭიერ მწერალს დამსწრე საზოგადოება მხურვალე ოვაციით შეეგება. დარბაზი გაჭედილი იყო ხალხით და ერთი იმდენიც, უადგილობის გამო, გულჩათუთქულიჭუკან დაბრუნდა.

* * *

ეს ორი წელიწადია ჩვენი ქვეყნის თითქმის ყოველ მხარეში ქართველ ქალთა წრეების ბადე მოეფინა. ბაქოში ასეთი წრე უკვე ხუთი წელიწადია, რაც არსებობს. ხოლო მისი მაჯისცემა ერთი ხანია თითქო მისუსტდა დამინელდა. ახლა წრის მეთაურნი, როგორც ჩანს, კვლავინდებურათ ინტენსიური მუშაობის გაჩაღებასა და მოქმედების გაცხოველებას ლამობენ. ამ დღეებში შესდგა წრის საზოგადო კრება. თავჯდომარის ამხანაგმა ქ-ნმა კვიტაშვილისამ კრებას განუმარტა შეკრების მიზანი და გააცნო წრის გამგეობის ხუთი წლის მოღვაწეობას. გამგეობას თავისი წრის წევრთა დახმარებით 2000 მანეთზე მეტი შეუკრებია. სხვადასხვა დროს შემწეობა ამოუჩენია დ დახმარების ხელი გაუწვდია ღარიბთა და გაჭირვებულთათვის, შობის ხე გაუწყვიათ ქართული შკოლის მოწაფეთათვის და სხვა. კრების უმთავრეს მიზანს პროფესიონალური შკოლის გახსნის საკითხი შეადგენდა. წრის გამგეობის წევრმა ქ-ნმა მახარობლიძისამ ქალთა შორის ხელსაქმისა და პროფესიონალურ ცოდნათა გავრცელების საჭიროებასა და მნიშვნელობაზე ილაპარაკა. კრებამ ერთხმათ დაადგინა შკოლის გახსნა, სადაც სწავლების გადასახადი 15 მანეთი იქნება. შკოლისათვის თავიდანვე მოწვეული იქნება ხელსაქმის მცოდნე სპეციალურათ მომზადებული მასწავლებელი. წრეს განზრახვა აქვს თვითგანვითარების საქმესაც ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს: რეფერატებისა და მოხსენებათა კითხვა გამართოს. სულითა და გულით ვუსურვებთ ამ საქმეს კეთილ წარმატებას, რომ აქ საპატიო ადგილი დაეჭიროს მშობლიურ ენას, რომლის ხმარებასაც ჩვენი ქალები ძალიან ერიდებიან.

* * *

ბაქოს ქართველი საზოგადოება მოკლებულია ისეთ ადგილსა და ბინას, სადაც შეეძლოს თავისუფლათ შეკრება, ურთიერთ შორის აზრთა გაზიარება, შინაური მეგობრული და ან საჭირო საქმეებზე სჯა-ბაასისა და ლაპარაკის გამართვა. ასეთი საერთო ეროვნული თავშესაფარის საჭიროება მომწიფებულათ უნდა ჩაითვალოს აქაურს ქართველ საზოგადოებაში. ქართულ შკოლასა და თეატრს თავისი მაღალი და წმინდა დანიშნულება აქვთ და ასეთი საზოგადო ბინის მაგიერობას ვერ გასწევენ. ასეთი მოთხოვნილების არსებობით აიხსნება ის გარემოება, რომ ქართველთა ერთმა ჯგუფმა განიზრახა აქ „კლუბის" დაარსება და სამზადისსაც შეუდგა. ხოლო ზოგიერთებმა, რომელთა დახმარებაც ამ საქმის განსახორციელებლათ საჭირო იყო, „კლუბის" გახსნა სათაკილოთ მიიჩნიეს და უნდობლათ მოექცნენ. ამის გამო ამ განზრახვის ჯერ ხანათ შესრულება საქმის ინიციატორებმა ვერ მოახერხეს და შემდეგში რა იქნება—მომავალი დაგვანახებს. **ფარი.**

## დაბა-სოფლები.

**ს. პერევისა** (ზემო იმერეთი). წასულ 26 გიორგობისთვეს დავესწარი პერევისის საზოგადოების ყრილობას, რომელზეც შვიდი სოფლის გლეხკაცობას მოეყარა თავი. წასულ ზაფხულზე საგუბერნიო მთავრობამ მოსთხოვა საზოგადოებას, სოფლის სამართველოსთვის ახალი შენობა შვიდი ოთახისაგან მაინც შემდგარი და ფულიც სამიათასხუთასი მანეთი გადაადებიეს. მე და ჩემმა მეზობლებმა ვაფრინეთ თხოვნა გუბერნატორთან და ვსთხოვდით: რადგან წელს მოსავალი უიმედოა, გთხოვთ ჩვენზე გაწერილი 3,500 მან. შეკრება და შენობის ყიდვა 1914 წლისთვის გადასდევით-თქო. მაგრამ ბ-ნი ოლხოვსკის წყალობით ჩვენს თხოვნას არ მიაქციეს ყურადღება, და აი, დღეს მამასახლისმა გამოუცხადა საზოგადოებას: სახლი ვიყიდეთ, მაგრამ გადმოტანაა საჭირო და გადმოიტანთ თუ არა წრეულსო. საზოგადოებამ ერთხმათ შესძახა: წრეულს გადმოტანა არ შეგვიძლია და გაზაფხულამდი გადავსდვათო. მამასახლისიც დასთანხმდა და ძველი სახლის შესაკეთებლათ მოითხოვა 50 მან. იმ შეკრებილი 3,500 მან. საზოგადოება ამაზედაც დასთანხმდა. შემდეგ ყრილობა სიხარულით შეხვდა იმ აზრს, რომ არსებული სამინისტრო შკოლა შავიქვის მრეწველთა საბჭოს გადასცემოდა და შესაფერი შუამდგომლობა აღეძრათ. მამასახლისის ნებართვით ვიწყეთ ბაასი იმაზე, თუ რომელ სოფელში რამდენს მცხოვრებს აკლია სარჩო. გამოირკვა, რომ მთელ საზოგადოებაში არ მოიძებნება გლეხი, რომელსაც სარჩო საშვალოთ სამ თვეზე მეტათ ეყოს. სულ ჩვენს საზოგადოებაში აწერილობით შვიდას კომლამდი ირიცხება, ნამდვილათ კი ათასამდი იქნება. ოჯახში საშვალოთ 5 სული უნდა ვიანგარიშოთ. ოჯახს თვეში დასჭირდება არა ნაკლები რვა ფუთი სიმიდისა და სულ რვაათასი ფუთი თვეში. სამი თვის მეტი სარჩო საშვალოთ არავის მოსვლია და ამნაირათ, დანარჩენს ცხრა თვეს დასჭირდება ცხრაჯერ რვა ათასი, ე. ი. სამოცდათოთხმეტი ათასი ფუთი სიმიდი.

სურათი საშინელია, შიმშილობამ უკვე დაუკაკუნა გლეხს კარებზე, შველა კი არსაიდან ჩანს. და ამისთანა დროს, როდესაც არც თავისა და არც პირუტყვის სარჩო გაძვალტყავებულ გლეხს არ აბადია, ბ-ნი ოლხოვსკი მოახსენებს გუბერნატორს: პერევისის საზოგადოება მდიდარია, სულაც რომ არ მოუვიდეს მოსავალი მაინც არა უჭირს-რაო.

ამ საზოგადოების სოფ. შუქრუთში არსებობს წვრილი კრედიტის ამხანაგობა, რომელიც შეძლებისდაგვარათ დახმარებას უწევს გლეხობას. ახლაც ცდილობენ ამხანაგობის გამგენი დაეხმარონ იმ მცირე თანხით, რომელიც მას აქვს, მაგრამ ამაზე შემდეგ. ამას წინათ ჩვენს დეპუტატს გელოვანს ჭიათურაში ყოფნის დროს გლეხებმა გაუგზავნეს წარმომადგენლები და სთხოვეს დახმარება. დღეს გლეხებმა იციან, რომ გელოვანის წინადადებით დამშეულთა დახმარებისათვის შეიკრიბენ ქუთაისის გუბერნიის წვრ. კრედიტის წარმომადგენელნი და სამეურნეო საზოგადოება, რომელთაც გამოარკვიეს დამშეულთა რაოდენობა და მათთვის დახმარების წესები და სხ., რომ გელოვანი შესძლებს ან უსასყიდლოთ ამოაჩენიოს დახმარება მთავრობას, როგორც ეს რუსეთის შიდა გუბერნიაშია, ანა და, გრძელვადიანი სესხი მოეცესთ უსარგებლოთ, რომელსაც 10—15 წლის განმავლობაში გადაიხდიან არა პოლიციის მოხელეთა საშვალებით, არამედ წვრილი კრედიტის ამხ. გამგეობისა და მათ მიერ ნდობით აღჭურვილი პირების სახით. საზოგადოება მადლობით იხსენიებს თავის დეპუტატ გელოვანს.

**შუქრუთელი ალექსანდრე.**

—

**ს. ზარათი** (ოკრიბა). ჩვენი სოფელი 12 ვერსის მანძილზეა ქუთაისიდან და თავისი პატარა განაპირა უბნებიანათ, რომელთაც ქვია: მამაწმინდა, კვახნური, მეჩხერი, კუდოთი, და სხ. სულ შესდგება ორასი კომლისაგან. აქაურ აზნაურს გლეხისაგან ვერ გაარჩევ: ყველა ერთნაირი მუშა, გამრჯელი, მეცადინი. ზარათელი გლეხი თუ აზნაური მუდამ გაბმულია ქუთაისსა და თავის სოფელს შუა, დააქვს ურმით შეშა თუ სხვა ოჯახის ნაწარმოები და ხეხილი ბაზარში გასაყიდათ. უგზოობით ძალიან შევიწროებულია ხსენებული სოფლები. ზარათი თავის უბნებიანათ მოწერილია სოფ. რიონის სამამასახლისოზე, მარა მთელი ეს საზოგადოება პირდაპირ დატანჯულია უგზოობით. შინ რომ ლუკმა არ მოგეპოებოდეს, გარეთ ტაბლას რა უნდაო—მისი არ იყოს—აქაურებს სხვაგან მიერეკებიან გზების საკეთებლათ და თავისი საკუთარი არც გზა აქვთ, არც კვალი. სულ იოლათ გასაკეთებელი გზები ისე უპატრონოთაა მიტოვებული, რომ პატარა ჩოჩიალა ხარის ურემსაც უჭირს გავლა და ხან შემოდგ.-ზამთრობით სულაც შეიკვრება ხოლმე მიმოსვლა. უგზოობით ასე ვართ დაჩაგრული, მაგრამ ამ ქურდებს ეს უგზოობა არაფრათ უშლის ხელს. ხშირია აქით საქონლის ქურდობა: ცხენის, ხარის, ძროხისა და სხვ. იქით კვირაში სოფლელებმა შეიპყრეს ორი ქურდი, ერთი მათგანი დარაჯის ფორმაში იყო. შეთოკილი მოიყვანეს ქურდები ეკლესიაზე და ზარის რეკვით ხალხი შეყარეს, რომ ენახათ მათი ამშენებლები. ქურდები მთავრობას ჩააბარეს.

**ზარათელი ობოლი.**

## წერილი რედაქციის მიმართ.

**ბ. გალაკტიონ კვირიკაძეს.**

ბ. გალაკტიონ! თქვენ მიწვევთ სამედიატორო სამართალში. კეთილი, თანახმა ვარ, მხოლოდ ერთი წინადადებით: თქვენ, როგორც ფულის წაღებას და შემდეგ უარის თქმას არ მორიდებიხართ, დიდათ არც მედიატორული განაჩენი შეგაწუხებთ, ამისთვის საჭიროთ ვსთვლი—ჩვენ შორის გამტყუნებულმა მხარემ არჩილ ჯორჯაძის ფონდის სასარგებლოთ ათი მანეთი გადაიხადოს. ეს ათ-ათი მანეთი საქმის განხილვამდი უნდა ჩააბარდეს მედიატორებს. ამ წინადადების მიღებისთანავე მედიატორებს დაგისახელებთ.

**ირაკლი ხაბიდეიშვილი.**

რედაქ.-გამომცემელი გ. ბრეგაძე.

ევროპიული ტანისამოსების სახელოსნო
ნ. ასათიანისა და ი. ბერულიძის.
ქ. ქუთაისი ალექსანდრეს ქ. სახლი თევდორაძისა.
ვღებულობთ ყოველნაირ შეკვეთილ საქმეს, რომელსაც ვასრულებთ დახელოვნებული გამომჭრელის და საუკეთესო ქარგლების-ხელით. ყველა ჩვენს მუშტარს შეუძლია ისარგებლოს ½ წლის ტანისამოსის უფასო შეკეთებით.

ა. ი. კოსტავას
ევროპიულ მაღაზიაში
(თფილისის ქუჩა, ქალაქის ათთიაქის გვერდით)
კაცების ახლათ მიღებულ ტანისამოსზე 20-ი ნოემბრიდან 1 იანვრამდი
დანიშნულია
დიდი იაფი ვაჭრობა.
ფასები ძლიერ დაკლებულია.
კოსტიუმები 8—35 მან., შარვლები 4—12 მან., პალტო 10—38 მან.
ფასები უვაჭროთ.

გამოცემა „სორაპანისა"
დაიბეჭდა და გამოვიდა გასაყიდათ
დასურათებული
კედლის კალენდარი 1914 წ.
შედგენილი გრ. ჩარკვიანის მიერ
ფასი 2 აბაზი
კალენდრის კარდონი დაბეჭდილია ლიტოგრაფიაში ათი ფერი საღებავით სუფთად და ლამაზათ.
სახალხო კალენდარი 1914 წ.
დასურათებული.
შედგენილი მ. გაჩეჩილაძის მიერ. ფასი 1 აბაზი.
კალენდრები იყიდება საქართველოში ყველგან.
ვისაც ხარტიით უნდა სურს, მან უნდა მიმართოს შემდეგი ადრესით:
თფილისი, მადათოვის კუნძული, სტამბა „სორაპანი".

ახლათ გამოშვებული პაპიროზები
„დელი-ბაბ"
10 ცალი 6 კაპ. 25 ცალი 3 შ.
იყიდება ყველგან.
პაპიროზები კეთდება გამორჩენილი წვრილფურცლიანი ნამდვილი თათრული თამბაქოსაგან, რომელსაც შესამჩნევი არომატი და სასიამოვნო გემო აქვს.
თუთუნის ქარხანა „ბინიატ-ოღლიხა" ბათუმში კომაროვის ქუჩა, საკუთ. სახლი.

КУРСЫ кройки и шитья для дамъ и дѣвицъ.
ПРІЕМЪ заказовъ на элегантные дамскіе наряды
M-me МАРИ
На-сколко важно для каждой дамы и дѣвицы самой, безъ посторонней помощи, умѣть кроить и шить, говорить объ этомъ нѣтъ надобности. Достаточно сказать, что спеціальность эта, совмѣщаетъ въ себѣ двойную выгоду: ЭКОНОМІЮ и ЗАРАБОТКИ. Она каждой дамѣ и дѣвицѣ даетъ могучую возможноть: 1) одѣваться почти даромъ и со вкусомъ и 2) заработывать вдвойнѣ—путемъ преподованія курсовъ и пріема заказовъ. Курсы эти открыты мною по образцу заграничныхъ. Благодаря особенностямъ метода и постановкѣ дѣла курсы усваиваются БЫСТРО, ЛЕГКО и ОСНОВАТЕЛЬНО. За мою долголѣтную практику заграницей и въ столичныхъ городахь Россіи, какую я на этомъ поприще искуства принесла пользу, въ этомъ убѣждаютъ безчисленныя газетныя благодарности, какія систематически изъявлены мнѣ многими изъ моихъ бывшихъ курсистокъ. Время дорого. Поспѣшите записатьса на курсы.
Тутъ же при курсахъ открыта мною спеціальная мастерская для пріема заказовъ исключительно на элегантные наряды, отличающіеся изящностью фасона и художественностью работы. Полное угожденіе вкусу любительницъ изысканныхъ нарядовъ, это—нашъ девизъ. Ѣздить въ Тифлисъ на курсы или за заказомъ художественно—изящныхъ нарядовъ болѣе нѣтъ надобности.
Адресъ: Кутаисъ, 1-ая Александровская ул. д. Бокерія противъ бульвара.
Съ почтеніемъ M-me МАРИ.

ელექტრო-საბეჭდავი ფერაძისა და კარნაუხოვის ქუთაისში.